ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი №. 58228/09
ემზარ კოპაძე
საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2015 წლის 10 მარტის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

გეორგე ნიკოლაუ, *თავმჯდომარე,*
ნონა წოწორია,
კრშიშტოფ ვოიტიჩეკი, *მოსამართლეები,*
და ფატოშ არაჩი, *სექციის განმწესრიგებელი მოადგილე,*

მხედველობაში მიიღო რა 2009 წლის 9 ოქტომბერს შემოტანილი
წინამდებარე საჩივარი,
და ის ოფიციალური განცხადებები რომლებიც თანხმობას აცხადებენ საქმის
მეგობრულად მოგვარებაზე,
განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანი ბ-ნი ემზარ კოპაძე არის საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1980 წელს. ის ამჟამად სასჯელს იხდის მე-6 სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებაში, ქალაქ რუსთავში. სასამართლოში მას წარმოადგენდნენ ბ-ნი ბ. ბოჭორიშვილი და ბ-ნი ი. ხატიაშვილი, ადვოკატები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ თბილისში.

2. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა მისი წარმომადგენელი, ბ-ნი ლ. მესხორაძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან.

3. საქმე უმთავრესად შეეხებოდა მომჩივანის მიმართ სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებაში სავარაუდო ცუდი მოპყრობის ფაქტსა და ამ ფაქტის არასათანადო გამოძიებას.

4. 2014 წლის 8 ივლისს, კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების თანახმად, საჩივარი მთავრობას გადაეგზავნა.

5. 2014 წლის 4 ნოემბრით დათარიღებული წერილით, მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ საჩივარში დასმული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, მან მხარეს შესთავაზა საქმის მეგობრული მოგვარება. შეთავაზების პირობები შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

„მომჩივანის მიერ კონვენციის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას სურს აღიაროს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა მის პროცედურულ ნაწილში. მთავრობა ამას აღიარებს მომჩივნის მიმართ სავარაუდო ცუდი მოპყრობის ფაქტის გამოძიების დაწყების თავისი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

ზემოაღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად, მთავრობა მზადაა, აღნიშნული შეთავაზების ფარგლებში:

-დაიწყოს მომჩივანის მიმართ სავარაუდო ცუდი მოპყრობის ფაქტის გამოძიება და უზრუნველყოს მისი შესაბამისობა კონვენციის მე-3 მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფოს საპროცედურო ვალდებულებებთან;

-გადაიხადოს 3,500 (სამი ათას ხუთასი) ევრო ნებისმიერი ფულადი თუ არაფულადი ზარალისა და ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად. ეს თანხა გათავისუფლდება ყველა შესაბამისი გადასახადისგან.

ეს თანხა გადაყვანილი იქნება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით, და უნდა იქნას გადახდილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა ნუსხიდან აღნიშნული საქმის ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესახებ შეტყობინების დღიდან სამი თვის განმავლობაში. ამ თანხის ზემოაღნიშნულ სამთვიან ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, მთავრობა კისრულობს ვალდებულებას, გადაიხადოს ამ თანხაზე დარიცხული მარტივი პროცენტი, რომელიც მოიცავს ამ ვადის გასვლიდან ფაქტობრივ ანგარიშწორებამდე პერიოდს, იმ განაკვეთით, რომელიც შეესაბამება საჯარიმო პერიოდში მოქმედ ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთს პლუს სამი საპროცენტო პუნქტი.

ზემოაღნიშნული პირობების შესრულებით აღნიშნული საქმე საბოლოოდ მოგვარდება.“

6. 2014 წლის 10 დეკემბრით დათარიღებული წერილით, მომჩივანმა სასამართლოს აცნობა, რომ ის მზადაა მიიღოს საქმის მეგობრული მოგვარების შესახებ მთავრობის მიერ შემოთავაზებული წინადადების პირობები, და ამგვარად, უარი თქვას მთავრობის წინააღმდეგ მის მიერ წაყენებულ ყველა პრეტენზიაზე.

კანონი

7. სასამართლო მხედველობაში იღებს მხარეებს შორის მიღწეულ მეგობრულ მორიგებას. ის კმაყოფილია, რომ საქმის მოგვარება დაფუძნებულია კონვენციასა და მის ოქმებში განსაზღვრულ ადამიანთა უფლებების პატივისცემაზე, და თვლის, რომ არ არსებობს მიზეზები, რომელთა გამო საჩივრის განხილვის გაგრძელება გამართლებული იქნებოდა. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საჩივარის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

იღებს გადაწყვეტილებას, აღნიშნული საჩივარი ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, კონვენციის 39-ე მუხლის შესაბამისად.

დოკუმენტი შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2015 წლის 2 აპრილს.

ფატოშ არაჩი	გეორგე ნიკოლაუ
სექციის განმწესრიგებელი მოადგილე	თავმჯდომარე